2020 წლის „საზაფხულო ტელესკოლის“ ფარგლებში გასათვალისწინებელი ინფორმაცია:

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერი 2020 წლის 22 ივნისიდან დაეთმობა ახალ ტელეპროექტს - „სახელმწიფო შესყიდვების კურსს“. მას გაუძღვებიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კომპეტენტური პირები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ტელეკურსის სასწავლო თემატიკა 10 ბლოკად არის დაყოფილი, თითოეულის ხანგრძლივობა - 30 წუთია.

კურსის თემატიკა დააინტერესებს როგორც დარგის პრაქტიკოს-სპეციალისტებს, სტუდენტებს, ასევე იმ პირებს, ვისაც სურთ თავისი სამსახურებრივი კარიერა მომავალში დაუკავშირონ სახელმწიფო შესყიდვებს. ტელესკოლა დაინტერესებს ასევე ბიზნესისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ვისაც მონაწილეობა სურთ სახელმწიფო შესყიდვებში.

დაინტერესებულ მსმენელებს შესაძლებლობა ექნებათ დასვან შეკითხვა და მიიღონ პასუხი სააგენტოს სასწავლო ცენტრის ოფიციალური ელ.ფოსტის მეშვეობით - training.center@spa.ge.
2020 წლის სექტემბერში, ტელეპროექტით დაინტერესებულ ყველა პირს შესაძლებლობა ექნება გაიაროს სერტიფიცირება. სერთიფიკატის მისაღებად აუცილებელია ტესტის წარმატებით ჩაბარება. ტესტირების დრო, ადგილი და სხვა დეტალური ინფორმაცია დამატებით გამოქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე. ტელესკოლის პროექტში სრულფასოვნად ჩართვის მიზნით, გთხოვთ გაიაროთ რეგისტაცია ზემოთ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე. ტელეპროექტის მიმდინარეობისას, ორი კვირის მანძილზე - 22 ივნისიდან 03 ივლისის ჩათვლით, დაუკავშირდით სააგენტოს სასწავლო ცენტრს ელ.ფოსტაზე, ან ტელეფონის ნომრებზე: 577570577, 555200253 (მხოლოდ სამუშაო საათებში).

22 ივნისიდან, არ გაუშვათ ხელიდან უნიკალური შესაძლებლობა დაეუფლოთ და გაიღრმავოთ ცოდნა სახელმწიფი შესყიდვების მიმართულებით.